# ხელშეკრულება № 9

## სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (საქონლის შესყიდვა)

ქ. გორი 12 იანვარი 2016 წელი

ერთის მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – გორის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი (შემდგომში – შემსყიდველი) **მისი დირექტორის გულნარა ბზიშვილის სახით (საიდენტიფიკაციო კოდი 417883044)** და მეორეს მხრივ **შ.პ.ს. „დაყვნე“ (ს/კ: 218075026), დირექტორი დავით ჩრდილელის** სახით (შემდგომში გამყიდველი) ედებიან წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### *1. ხელშეკრულების საგანი*

1.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად ხელშეკრულების საგანია: 1 ცალი 130 გრ. ჯაკობსი მონარქის (ფასით 13.50 ლარი); 1კგ შაქრის (ფასით 1.80 ლარი); 1 ცალი ასაფეთქებელის (ფასით 32.00 ლარი); 1 ცალი ასაფეთქებელის (ფასით28.00 ლარი); შესყიდვა.

### *2. შესყიდვის ობიექტი*

2.1 შესყიდვის ობიექტია: კვების პროდუქტები (CPV-15800000); (CPV-24613200).

### *3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება*

3.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

3.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს – **75.30** (სამოცდათხუთმეტი ლარი და 30 თეთრი) ლარს

### *4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია*

4.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს

### *5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები*

5.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

5.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, გამყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს თანხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (საგადასახადო ანგარიშფაქტურა ან სასაქონლო ზედნადები)

### *6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი*

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და გამყიდველის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

### *7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი*

7.1 ანგარიშსწორება ხდება ლარებში

7.2 შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით თანხის გამყიდველის საბანკო რეკვიზიტებზე გადარიცხვით.

7.3 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არა უმეტეს 30 (ოცდაათი) საბანკო დღის ვადაში.

### *8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი*

8.1 შემსყიდველს უფლება აქვს -

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება გამყიდველთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება

8.3 გამყიდველს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4 გამყიდველი ვალდებულია:

- მიაწოდოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების ხელმოწერიდან არა უგვიანეს 10 დღისა.

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

## 9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისათვის

**9.1** მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესები.

## 10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა მისი ხელის მოწერის დღიდან 40 (ორმოცი) კალენდარული დღის ვადით.

## *11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა*

11.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია: თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებების პირობების მათ შორის ფასის შეცვლა თუ ამ ცვლილებების შედეგად იცვლება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

## *12. ფორს-მაჟორი*

12.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და სამხედრო მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

12.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტხანს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

### *13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი*

13.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე

13.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

### *14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები*

14.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

14.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის დირექტორი (გულნარა ბზიშვილი).

14.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით

14.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### *15. სხვა პირობები*

15.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2 არცერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

### *16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები*

გორის მუნიციპალიტეტის

მოსწავლე-ახალგაზრდობის

კულტურულ-საგანმანათლებლო

ცენტრი

ს.ს. „ლიბერთი ბანკი"

ბ/კ LBRTGE22

ა/ნ GE02LB0115171175191000

ს/კ 417883044

შემსყიდველი: /[illegible]ზიშვილი/

შ.პ.ს. „დაფნე"

იურიდიული მისამართი:

ქ. გორი ჭავჭავაძის ქ№26

პროკრედიტ ბანკის გორის ფილიალი

ბ/კ: MIBGGE22

ა/ნ: GE68PC0143600100021979

ს/კ: 218075926

გამყიდველი: /[illegible]რდილელი/

მიღება - ჩაბარების აქტი

( საქონლის შესყიდვის შესახებ)

ქ. გორი 13 იანვარი 2016 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ გორის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი მისი დირექტორის **გულნარა ბზიშვილის სახით (ს/კ 417883044)** „შემსყიდველად" წოდებული და მეორეს მხრივ **შ.პ.ს „დაფნე"ს დირექტორი დავით ჩრდილელის სახით (ს/კ 217075026)** „გამყიდველად" წოდებული, ვადასტურებთ, რომ 2016 წლის 12 იანვრის ხელშეკრულების (სახელმწიფო შესყიდვების შესახებ) თანახმად „გამყიდველმა" მოგვაწოდა კვების პროდუქტები და 2 ცალი ასაფეთქებელი, ფასით 75.30 (სამოცდათხუთმეტი ლარი და 30 თეთრი) და მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზია არ გააჩნიათ.

ეს მიღება-ჩაბარების აქტი შედგენილია ორ ეგზემპლიარად რომელთაგან ერთი გადაეცემა ჩამბარებელს.

შემსყიდველი:

ა(ა)იპ – გორის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი ს/კ 417883044

მის: ქ.გორი მშვიდობის გამზ. 12/ა

საბანკო რეკვ.: ს.ს. "ლიბერთი ბანკი"

ბანკის კოდი: LBRTG22

ა.ა. GE02LB0115171175191000

შემსყიდველი: გ. ბზიშვილი

მიმწოდებელი:

შ.პ.ს. „დაფნე" ; ს/კ 218075026

მისამართი: ქ. გორი ჭავჭავაძის ქ№26

საბანკო რეკვ.: ს.ს. „პროკრედიტ ბანკი "

ბანკის კოდი: MIBGGE22

ა/ა: GE68PC0143600100021979

მიმწოდებელი: დ. ჩრდილელი